საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 11/30 „9" XI 2015 წ

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება N 11

სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის – მულტიმედია ცენტრის
სამეურვეო საბჭოს წევრთა კანდიდატურების შერჩევისა და საკონკურსო
კომისიის შექმნის შესახებ

სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე
საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის – მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ
სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის N45 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის – მულტიმედია ცენტრის სამეურვეო საბჭოს წევრ სტუდენტთა კანდიდატურების შესარჩევად. კერძოდ:

   ა) 2 კანდიდატურა შეირჩეს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის მეშვიდე ან მერვე სემესტრის სტუდენტებიდან;

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

ბ) 1 კანდიდატურა შეირჩეს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებიდან.

2. კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

   ა) ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ (ამონაწერი სასწავლო ბარათიდან);

   ბ) სამოტივაციო წერილი.

3. საბუთები მიიღება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში (ოთახი №203ა, VI კორპუსი), 16 ნოემბრიდან - 20 ნოემბრის ჩათვლით.

4. შეიქმნას სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის – მულტიმედია ცენტრის სამეურვეო საბჭოს წევრ სტუდენტთა კანდიდატურების შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   მარიამ გერსამია – კომისიის თავჯდომარე;

   მაია ტორაძე – კომისიის თავჯდომარის მოადგილე;

   ხათუნა კაჭარავა – კომისიის მდივანი;

   კახა მაჭავარიანი –კომისიის წევრი;

   მარინა ბურძენიძე –კომისიის წევრი;

   შალვა საბაური –კომისიის წევრი;

   შოთა ფალავანდიშვილი –კომისიის წევრი;

5. დაევალოს კომისიას კანდიდატთა შერჩევა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანისთვის წარდგენა 27 ნოემბრის 13 საათამდე.

6. შერჩეული კანდიდატურები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის რექტორს არაუგვიანეს 30 ნოემბრისა.

7. ფაკულტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

8. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია